



## ევროპულ სკოლაში ონლაინ საგაკვეთილო პროცესზე მოსწავლეთა ქცევის წესი

- ონლაინ საგაკვეთილო პროცესებს მოსწავლე ვალდებულია დაესწროს ევროპულ სკოლაში მოქმედი ცხრილის შესაბამისად;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესებს მოსწავლე ვალდებულია დაესწროს დაგვიანების გარეშე;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე მოსწავლე ვალდებულია წინასწარ მოამზადოს ყველა საჭირო მასალა/დამხმარე ინვენტარი;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მოსწავლე ვალდებულია გაითვალისწინოს მასწავლებლის ყველა მითითება;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის დაწყებისას ვიდეო ზარი უნდა ჩაირთოს მხოლოდ მასწავლებლის მიერ;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მოსწავლე ვალდებულია ჩართულ მდგომარეობაში ჰქონდეს კამერა;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის დაწყებისას მოსწავლე ვალდებულია მიესალმოს პროცესის ყველა მონაწილეს და შეინარჩუნოს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მოსწავლე ვალდებულია დაიცვას საუბრის აკადემიური სტილი;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში უნდა ისაუბროს ერთმა მოსწავლემ, დანარჩენი მოსწავლეების მიკროფონი უნდა იყოს გამორთულ მდგომარეობაში;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლე ვალდებულია ე.წ. „ჩატი“ გამოიყენოს მხოლოდ კითხვების დასასმელად ან/და მასწავლებლის კითხვაზე პასუხის გასაცემად;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის დროს იკრძალება არათემატური შეტყობინებების გაგზავნა;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის დროს იკრძალება მობილური ტელეფონის ან/და კომპიუტერის არადანიშნულებისამებრ გამოყენება;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მოსწავლეს ეკრძალება სხვადასხვა სოციალური ქსელით სარგებლობა;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლე ვალდებულია გამოიყენოს მხოლოდ ყურსასმენი;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მოსწავლეს ეკრძალება პირადი ან სხვა მოსწავლის ე.წ. პროფილის ფოტოს შეცვლა;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მოსწავლეს ეკრძალება გამოიყენოს სხვა სახელი, გარდა ManageBac- ში მითითებულისა;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მოსწავლეს ეკრძალება დაამატოს/წაშალოს/ხმა გამოუერთოს პროცესის სხვა მონაწილეებს;

- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის დატოვება მოსწავლეს ეკრძალება მასწავლებლის წინასწარი ნებართვის გარეშე;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში ან მისი დასრულების შემდეგ რაიმე სახის ტექნიკური პრობლემის არსებობისას, მოსწავლე ან სხვა დამხმარე/უფლებამოსილი პირი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მასწავლებელს;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის დასრულებისას მოსწავლეებმა უნდა უზრუნველყონ ვიდეო ზარის დასრულება;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლე უნდა იყოს იზოლირებული ოთახში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მშობელთან ან სხვა დამხმარე/უფლებამოსილ პირთან ერთად;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესი უნდა წარიმართოს იზოლირებულ ოთახში ნეიტრალურ ფონზე, რათა დაცული იყოს მოსწავლის ოჯახის პერსონალური ინფორმაცია;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს მოსწავლის აღჭურვა ყველა საჭირო მოწყობილობით, მათ შორის პერსონალური კომპიუტერით/ლექტოპით, კამერითა და ყურსასმენებით;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლე ვალდებულია იჯდეს მაგიდასთან. გაკვეთილზე დასწრება სხვა ადგილიდან არ არის დაშვებული;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში აკრძალულია ჭამა ან რამის დალევა;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მოსწავლეები უნდა გამოიყურებოდნენ საგაკვეთილო პროცესის შესაბამისად;
- ონლაინ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში აკრძალულია ფოტო/ვიდეო გადაღება და შემდგომ მათი გავრცელება პროცესში მონაწილე პირთა პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის;
- მოსწავლე ვალდებულია დაემორჩილოს წინამდებარე წესით გათვალისწინებულ პირობებს. იგი უნდა აცნობიერებდეს, რომ ონლაინ საგაკვეთილო პროცესი არის ანალოგი სწავლების ტრადიციული მეთოდისა, რათა აღნიშნული პროცესი ჩატარდეს ევროპული სკოლის მიერ შემუშავებული და დადგენილი წესების სრული დაცვით.

▪ **ინციდენტის შეტყობინების წესი:**

1. ონლაინ საგაკვეთილო პროცესში რაიმე სახის შეუსაბამო ან/და ხელისშემშლელი ქცევის გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მასწავლებელს;
2. ინციდენტის შეტყობინების შემდეგ, მასწავლებელი აკეთებს ჩანაწერს აღნიშნული ფაქტის შესახებ და აწვდის ინფორმაციას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებს ელექტორნული ფოსტისა თუ სხვა საშუალების გზით და ადასტურებს მათ მიერ ინფორმაციის მიღებას;
3. მასწავლებელი აკვირდება პროცესის მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში დეტალურად განიხილავს შემთხვევას მოსწავლეებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და პროგრამის კოორდინატორებთან ერთად;

4. იმ შემთხვევაში თუ დაფიქსირდება მსგავსი შემთხვევის 3 ფაქტზე მეტი, პროცესში ერთვება დეპარტამენტის ხელმძღვანელი და უზრუნველყოფს შესაბამის პირთა მონაწილეობის შეზღუდვას საგაკვეთილო პროცესში.